1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია

1980

მაგისტრის ხარისხი ქალაქგეგმარებით მშენებლობაში.

მუშაობის გამოცდილება

აპიპ "ინჟინრული აზრი"

2008– დღემდე

შპს "ტოპ" - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები

ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „მ & ნ“

2006– დღემდე

ქალაქგეგმარებითი ინჟინერია () – “ჯარეტას საქართველო”

2004-დღემდე

დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი

1989-2004

“სპეცრემდიზაინმშენი”

დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი

1980-1989

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში

კულტურის სამინისტროში

ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980

ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი

სამშენებლო საქმიანობაში

შესრულებული სამუშაოები

- ქარიტასის ახალგაზრდული ცენტრი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური კათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული კომპლექსი
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცერაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტა, ლანჩხუთი, ჭიათურა
- სასტუმრო გუდაურში

პეპი

- ქართული – ქარგად
- რუსული – ქარგად
- სომხური – ქარგად
- ინგლისური – საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- ArchiCAD.

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის № 36 და № 34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-
რეაბილიტაციის პროექტი

განმარტებითი ბარათი

არქიტექტურული ნაწილი

სახლის ისტორია, მისი ზოგადი აღწერა და მნიშვნელობა


სარეაბილიტაციო ნაგებობა მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 36-ში. იგი აშენდა 1903 წელს, როგორც სამსართულიანი სახცობრებელი სახლი ქართველი მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის ერასტი ჭავჭავაძის მიერ. სახლს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. სახლი წარმოადგენს თბილისის ხუროთმოძღვრებაში მოდერნიზმის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. შენობა მთავარი ფასადით გადის ერთმანეთთან მიჯრიდ მდგომ ნაგებობათა მჭიდროდ განაშენიანებულ ქუჩაზე, სამსართულიანი ფასადის პირველი სართული პროფილირებული ქვითაა მოპირკეთებული, მეორე და მესამე სართულის ფასადები დეკორატიული ნაძერწობითაა შემკული, სადაც უხვად გამოიყენება მცენარეული ორნამენტები, ასევე ქალის თავის გამოსახულებები. აივნები მორთულია ლითონის ნაჭედი აჟურული მოაჯირებით. უკანა ფასადი გადაჰყურებს შიდა ეზოს, რომელიც თბილისისათვის ტრადიციული ღია, ხის ჭვირული მოაჯირებით არის მორთული, რაც შესრულების მაღალი ხარისხითა და მხატვრულობით გამოირჩევა.



სივრცობრივ-გეგმარებითი თვალსაზრისით სახლი მე-20 საუკუნის თბილისისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებით ხასიათდება, გეგმაში რუსული II-ს ფორმისაა, ქუჩის მხარეს სავაჭრო და საცხოვრებელი ფართებია განთავსებული, ეზოში სახლის კიდეებში ორი ფლიგელის სახით დამხმარე სათავსოები ვითარდება, აქვეა მათი



ფუნქციონირებისთვის ორი კიბის უჯრედი. ორივე ფლიგელს აქვს გვიანდელი „პარაზიტი“ მინაშენები, რომლებიც თავისი დიდი მოცულობის გამო მთლიანად ცვლიან და ამახინჯებენ ეზოს სივრცეს. ქუჩის ფასადზე ცენტრიდან ცოტა მარჯვნივ გაჭრილია ოთხკუთხა თალი, რომლის საშუალებითაც ვხვდებით შიდა ეზოში. თალის თანადროული ლითონის ჭიშკარი დაკარგულია, მის მაგივრად შეკიდულია ორფრთიანი უსახო ჭიშკარი. ეზოში თავის დროზე პატარა



აუზი ყოფილა, მასში მდგომი სკულპტურებითა და წყლის შადრევნით. ამჟამად ეზოში ფილების ნაცვლად ასფალტია დაგებული და ცარიელი სივრცეა.

სახლის მოშენების მთელს პერიმეტრზე სარდაფებია, რომლებიც მთლიანად მიწაშია მოქცეული, მათი გადახურვა მიწის ნიშნულზე დაბლაა. სარდაფის სათავსოების ჭერის სიმაღლე საშუალოდ 2,5 მეტრია. სარდაფებში შუქი აღწევდა და შესაბამისად ნიავედებოდა ტროტუარებზე ამოჭრილი ლუკებიდან, დღეისათვის ყველა ლუკი და სარკმელი ამოქოლილია.

პირველი სართული



ქუჩაზე გამავალ სათავსოებში სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებებია განთავსებული, ეზოს მხარეს კი საცხოვრებელი ბინებია, საბჭოთა პერიოდში ჩაშენებული სველი წერტილებითა და ტიხრებით. პირველ სართულის ინტერიერები სახეცვლილია და დაკარგული აქვთ პირვანდელი სახე, თუ არ ჩავთვლით სახლის მთავარ შესასვლელსა და ვესტიბიულს. ვესტიბიულიდან კიბის უჯრედით ვხვდებით სახლის მეორე და მესამე სართულებზე. ვესტიბიულის სივრცე და კიბის უჯრედი მთლიანად მოხატულია მე-19 საუკუნის ბოლოსთვის დამახასიათებელი კედლის მხატვრობით. ვესტიბიულის

იატაკი, კიბის ბაქნები და საფეხურები შესრულებულია ფერადი მოზაიკით, კიბის მოაჯირი ლითონის ნაჭედი მოდერნის სტილის ელემენტებისგან შედგება, რაზეც ხის პროფილირებული სახელური მიუყვება. სახლის ცენტრალური ორფრთიანი კარი ასევე მოდერნის სტილისაა, მისი ლითონის დამცავი დეკორატიული ცხაურები სამწუხაროდ დაკარგულია, მის ნაცვლად ჩასმულია მარტივი ტიპის ლითონის ღეროებისგან შეკრული ბადე.



მეორე და მესამე სართული



ფუნქციონალური თვალსაზრისით ადრე თუ ეს სათავსოები ერთ ოჯახს ეკუთვნოდა, ამჯერად მრავალბინიანად არის გადაკეთებული. შესაბამისად, ჩაშენებულია სველი წერტილები და ოთახების გამყოფი ტიხრები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ოთახს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე, რაც გამოიხატება იმაში, რომ კედლების შპალერი და ქერის მოხატულობა თანადროულია. ასევე ემორჩენილია რამდენიმე

ბუხარი, ამათგან ზოგიერთი ლამაზი დეკორირებული ფერადი მოჭიქული ფილებით არის მოპირკეთებული. კედლები ზოგიერთ მონაკვეთში დაბზარულია.

სხვენი და სახურავი

სახლის სახურავი ქანობიანია და მოწყობილია ხის ნივნივებზე. სახურავს აქვს რამდენიმე სამერცხლო, რის გამოც სხვენი კარგად ნიავედება, შესაბამისად სახურავის ხის კონსტრუქცია კარგად არის შენახული. სახლის უკანა ფლიგელების მონაკვეთში სახურავი ამდლებულია და განთავსებულია მეოთხე დონე, რომელსაც დამხმარე



სათავსოებად და სარეცხის გასაფენად იყენებდნენ. ეს სათავსოები ეზოს მხარეს გახსნილია და კარგად ნიავედება. დღეისათვის მარჯვენა ფლიგელის სხვენი ამოშენებულია და საცხოვრებელი სათავსოებად გადაუკეთებიათ. სახურავი დაფარულია შეღებილი თუნუქის ფურცლებით, ცალკეულ ადგილებში დარჩენილია თანადროული სქელი თუნუქით გადახურული სახურავის მონაკვეთები.

მნიშვნელოვანი დაზიანებები.

სავარაუდოდ, სახლი დგას მყარ გრუნტებზე, რადგან არ შეინიშნება საყრდენი კედლების მნიშვნელოვანი ჯდომები, თუმცა აღსანიშნავია, რომ კედლებს ცალკეულ მონაკვეთებში გააჩნია ბზარები, რაც ძირითადად მიწისძვრებით უნდა იყოს გამოწვეული. სახლის ყველაზე მნიშვნელოვანი დაზიანებები, სარდაფის დონეზე სართულშუა გადახურვებზე ფიქსირდება. დაზიანებების მთავარი მიზეზი სარდაფების გასანიავებელი ლუკების ამოქოლვაა, რამაც მომატებული ნესტიანობა და ლითონისა და ხის კოჭების ლპობა გამოიწვია – დაჟანგული ლითონის კოჭები და ზოგიერთ მონაკვეთში ჩაღუნულია, დაბზარულია კოჭებს შორის არსებული ბეტონის ფილები, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სართულშუა გადახურვის ჩამონგრევის საშიშროებას. სარდაფში გადის წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომლებიც მწვავე ავარიულობის გამო ასევე შესაცვლელია.

ფასადის კედლებზე
პროფილირებული ნალესის ფენა
ატმოსფერული ნალექების გამო
ზოგიერთ მონაკვეთში
ჩამორეცხილია, ასევე ზოგ
მონაკვეთში ნაძერწი
დეკორატიული ელემენტები
ჩამოყრილია ან დაძრულია
კედლის სიბრტყიდან და
საშიშროებაა მათი ჩამოცვენისა.
აივნებზე დაზიანებულია
მოზაიკური იატაკი და
მოაჯირებზე არსებული
მარმარილოს ფილები.



სახურავის თუნუქის ფურცლები სიძველის გამო დაზიანებულია და საჭიროებს
გამოცვლას. დაზიანებულია და საჭიროებს აღსადგენას სამერცხლულების ხის
ჩარჩოები.

სახლის სამშენებლო მეთოდოლოგია და შესასრულებელი სამუშაოები

სახლის არასწორი ექსპლუატაციის გამო და არაერთხელ უხარისხოდ ჩატარებული
სარემონტო სამუშაოების შედეგად მისი იერსახე საკმაოდ შელახულია, თუმცა
ძირითადად კონსტრუქციული მდგრადობა და არქიტექტურული დეტალები
შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაციის სამუშაოების მაღალ
დონეზე ჩასატარებლად, აუცილებელია სკურპულოზურად და ხარისხიანად
ჩატარდეს კვლევითი და საფიქსაციო სამუშაოები, რაც წინაპირობა იქნება
თავიდან ავიცილოთ შეცდომები რესტავრაციის პროექტის დამუშავებისას.
კვლევის პროცესში აუცილებელია გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს
კონსტრუქტორის მიერ მითითებულ მონაკვეთებში გაიჭრას შურფები,
ლაბორატორიულად დადგინდეს გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებები
დადგინდეს, რას ეყრდნობა საძირკვლის ფუძე, გაირკვეს მისი ჩაღრმავება, ტიპი
და მდგომარეობა. სახლის მაღალი მხატვრული მნიშვნელობის გამო აუცილებელია
ფიქსაციისას გამოყენებული იქნას ახალი ტექნოლოგიები 3D ლაზერული სკანერი,
რომელიც საშუალებას მოქცევს სამგანზომილებიან სივრცეში მაქსიმალურად
ზუსტად დაფიქსირდეს როგორც თავად სახლის მოცულობა და გეომეტრია, ასევე
არსებული ყველა არქიტექტურული დეტალი და კედლის მხატვრობის ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა
ჩატარდეს კვლევა ყველა ავთენტურ სამშენებლო მასალას, ამისთვის შენობის
ზოგიერთ მონაკვეთებში უნდა შესრულდეს ზონდირება, ასევე უნდა
განხორციელდეს არსებული სამშენებლო, ნაძერწი დეკორატიული და სამღებრო
მასალების ლაბორატორიული კვლევა. ხოლო კვლევების შედეგად მიღებული

მონაცემების მიხედვით უნდა შეირჩეს თუ რა სამშენებლო მასალები იქნას გამოყენებული შენობის აღდგენითი-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დროს.

საჭიროა გამოვლენილი იქნას გვიანი პერიოდის „პარაზიტი“ მინაშენები და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შესაძებლობის ფარგლებში ჩატარდეს მათი დემონტაჟი.

სახლის ფიზიკური დაზიანების მიზეზების (გრუნტის და ტექნიკური წყლები) აღმოფხვრის შემდგომ, ჩასატარებელია მისი მდგრადობის გაძლიერება, რაც გათვალისწინებული იქნება პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში, აღსანიშნავია, რომ ჩვენი და იტალიელი კოლეგების მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენება ისტორიული სახლების რეაბილიტაციისას. კერძოდ, შესაძლებელია სახლის საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრება მასზე არსებული



დეკორატიული ელემენტების დაზიანების გარეშე, რაც შესაძებლობას გვაძლევს შენობას მაქსიმალურად შეუნარჩუნოთ ავთენტურობა და საგრძნობლად გავაიაფოდ მშენებლობის პროცესი.

სრულად უნდა აღდგეს მთავარი ფასადის მთავარი კარი, ლითონის ორფრთიანი ჭიშკარი, ლითონის აივნები, ხის კარ-ფანჯარა და ნაძერწი დეკორატიული ელემენტები, ასევე ეზოს

მხარეს ორიენტირებული ხის ჭვირული აივნები. აუცილებელია გაიხსნას სარდაფში არსებული ყველა ამოქოლილი სარკმელი და შეიცვალოს მისი ჭერის დონეზე არსებული დაზიანებული მონოლითური გადახურვა.


რეაბილიტაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს საავტორო ჯგუფის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.



არქიტექტორი

მალხაზ ლეკვეიშვილი







ცენტრალური პარავატი



მარჯვენა რიზალიტის პარავატი



ავთნებური ჯონსონური ლითონის აივანი



ლითონის ჯოჯაბით გაბეგრებული აივანი



ღაჯორაბიული ელემენტები







ხიზის უჯრედის ჯაღლის პანო



ხიზის ბაჟანი



ხიზის უჯრედის ჯაღლის პანო



ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირში №36-ში
მდებარე საცხოვრებელი სახლი



კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, XX ს-ის დასაწყისის ქ. თბილისში პოპულარული მოდერნის სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. სამსართულიანი წარმოსადგენი სახლი ქართველ მეწარმეს ერასტ ჭავჭავაძეს აუშენებია 1903 წელს,



რაც იმდროისთვის მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვდა. შენობას შემკული აქვს როგორც ექსტერიერი - მრავალი დეკორატიული ნაღესი ელემენტით, ასევე ინტერიერი - კერძოდ, სადარბაზოს სივრცე მაღალმხატვრული ღირებულების ფრესკებით „ვეფხისტყაოსნიდან“ და სხვა სიუჟეტი სცენებით, ხოლო იატაკი მოზაიკით არის მოპირკეთებული.



ეზოს მხარეს სახლს თბილისური მოდერნიზმის დამახასიათებელი ხის აივან-შუშბანდები ამკობს, რომელთა ნაწილს დაკარგული აქვს ავთენტურობა.



აღმაშენებლის №36 ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობაა ისტორიული ქალაქში. სარეაბილიტაციო პროექტისათვის სასურველია მოიძებნოს შენობის პროექტი (სავარაუდოდ შესაძლებელია, რომ ეს შენობაც, როგორც იქვე, რომის ქუჩაზე მდებარე მოდერნის სტილის სხვა ნაგებობაც არქ. კლიაშვილს ეკუთვნოდეს).

სარეაბილიტაციო პროექტმა მაქსიმალურად უნდა გაანთავისუფლოს ნაგებობა გვიანდელი მინაშენებისა და გადაკეთებებისგან და დასახოს გზები ძეგლის თავდაპირველი დეკორის კონსერვაცია-რესტავრაციისათვის, როგორც ექსტერიერზე, ასევე ინტერიერში.

ხელოვნებათმცოდნე

ლალი ანდრონიკაშვილი

დავით აღმაშენებლის გამზ. # 36

სადარბაზოს მოხატულობა

მხატვრობის მდგომარეობა

სახლი აგებულია 1903წ. სადარბაზო მთლიანად შემკულია იმ დროისთვის დამახასიათებელი მოხატულობით



სადარბაზო მთლიანად იყო მოხატული, (მხატვრობის კვალი ჩანს თითქმის მთელ სივრცეში)



ამჯამად მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია, ზოგ ადგილას ჩამოფხეკილი .




ნალესობა ბევრ ადგილას მოცილებულია კედელს. ფერწერული ფენა ძლიერ დაზიანებულია, შეიმჩნევა ფერის აქერცვლა



დაზიანებული ფერწერული ფენა

ამავდროულად ფერწერის ზედაპირზე გაირჩევა ფრინველის ექსკრიმენტები ,
(სადარბაზოში მერცხლის ბუდეებია)



ფრინველის ბუდე

ექსკრიმენტი

აგრეთვე ფერწერის დანაკარგები შეიმჩნევა იმ ადგილებსში სადაც კომუნიკაციები გაყვანილი. მხატვრობას საგრძნობლად აზიანებ მასზე არსებული ელექტრო გაყვანილობებიც



წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია შემდეგი კვლევითი სამუშაოები:

- **მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის მდგომარეობისა და მიმდინარე დაზიანების პროცესის გაანალიზება არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე**

შესწავლის და საარქივო მასალების შედარების შემდგომ, შევძლებთ ზუსტად დავადგინოთ მხატვრობის მდგომარეობის სტაბილურობისა თუ ცვლილებების ხარისხი.

- **მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)**

როგორც ვიზუალური ასევე დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდება დაზიანების ტიპები

შესრულდება სრული ფოტო (არეკლილი შუქი, მაკროფოტოგრაფია, მიკროფოტოგრაფია) და გრაფიკული დოკუმენტაცია დაზიანებების ტიპების მითითებით (ნიშნულები)

- **მოხატულობის საფუძვლის, ბათქაშისა და ფერწერული ფენის ლაბორატორიული კვლევა**

ლაბორატორიული კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, როგორც საშენი მასალის ტიპი, ასევე შელესილობისა და ფერწერული ფენის შემადგენლობა, თითოეული მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების საფუძველზე დადგინდება მხატვრობის დაზიანების მიზეზები.

ანალიზის ჩატარების მეთოდика და შედეგები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით. (საერთაშორისო ნორმალ აქტები)

- **ტენიანობა და ტემპერატურული რეჟიმი**

ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურული რეჟიმის მონიტორინგი განხორციელდება 5-10 წთ შუალედით , აგრეთვე განხორციელდება სინათლის ტალღის სიმძლავრის ანალიზი (განსაკუთრებით, ფასადზე არსებულ მხატვრობაზე)

კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით

საკონკურსო სამუშაოები მიზნად ისახავს აღმაშენებლი გამზირის # 36 სახლის სადარბაზოს მოხატულობის მდგომარეობის შეფასებასა და განსახორციელებელი ღონისძიებების სახეობებისა და რიგითობის განსაზღვრას. საკონსერვაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ჯგუფის შემადგენლობა

ზემოთხამოთვლილი დონისძიებებს განახორციელებს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იქნებიან:

მხატვარ-რესტავრატორი,

ხელოვნებათმცოდნე

ფერწერის ტექნიკისა და ტექნოლოგიის მკვლევარი

გეოლოგი (მინეროლოგი)

ბიოლოგი

ნანა კუპრაშვილი

ნ. კუპრაშვილი

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი დ. აღმაშენებლის გამზ. #36
არსებული საცხოვრებელი სახლის მდგრადობის
კონსტრუქციული დასკვნა.

მე, (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ალექსანდრე მჭედლიშვილი), ვიმყოფებოდი მოცემულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლის შესამოწმებლად. საცხოვრებელი სახლი სამ სართულიანია. მის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კერამიკული აგულის კაპიტალური $b=80\text{სმ}$ კედლები, სახლს გააჩნია სარდაფის სართული. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ლითონის კოჭებზე მოწყობილი რ/ზ-ნის მონოლითური ფილებით. ნაწილობრივ ეზოს მხარეს აივნები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. სავარაუდოთ შენობა დასაძირკვლებულია რ/ზ-ნის მონოლითურ ლენტურ საძირკვლებზე. შენობას არ გააჩნია ჯდომით მახასიეთებელი ბზარები, რაც აღნიშნავს შენობის კარგ ფუძეზე განთავსებას.

სარდაფის სართულშუა გადახურვა ძლიერ კოროზირებულია ნესტიან გარემოში გაუნიავებლად ყოფნის გამო, ზოგიერთი კოჭის კოროზიის დონე აღემატება დასაშვებს და საჭიროებს ნაწილობრივ შეცვლას. ჩვენს მიერ შემოწმებული კედლები არ შეიცავს ჯდომით ბზარებს, რაც გვამღერს საშუალებას რომ საძირკვლების გამაგრებითი სამუშაოები არ განხორციელდეს, რაც შეეხება სარდაფის გადახურვის კონსტრუქციებს აივნების მხარეს - ისინი მთლიანობაში შესაცვლელია, რადგან ნესტისაგან მწყობრიდანაა გამოსული. სხვა სართულშუა გადახურვები, აგრეთვე სასხვენე გადახურვა ნორმალურ მდგომარეობაშია და მხოლოდ აივნებზე საჭიროებს იატაკის ნაწილობრივ შეცვლას.

ძირითად ფასადზე განთავსებულია აივნები, რომელთა მზიდი კონსტრუქცია რ/ზ-ნის მონ. ფილაა და ისინი გამაგრებულია გასული საუკუნის 70-80-ან წლებში ლითონის კონსოლური კოჭების შეყრდნობით, რაც დღეისათვის არაა დამაკმაყოფილებელი, საჭიროდ ვთვლი აივნების მთლიანად მზიდი კონსტრუქციების შეცვლას რ/ზ-ნის მოლ. ფილებით.

სახლის ნივნივური დაგახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, არის კარგ მდგომარეობაში თუ არ ჩავთვლით მცირე ადგილებს, სადაც წვიმის წყალუისაგან დაზიანებულია რამოდენიმე შელარტყვის ფიცარი. ამიტომ იგი კონსტრუქციულ ჩარევას არ საჭიროებს. სახლის შიდა ეზოში ხის კონსტრუქციებით და ბეტონის ბლოკის შევსებით განხორციელებულია სამ სართულიანი მიშენება, რომლის კედლებსაც გააჩნია სესმური ბზარები. საჭიროდ ვთვლით მისი გამაგრება

განხორციელდეს კედლების ჩაცმით ორმხრივ (შინაგან და გარეთა)რ/ზ-ნის მონ.
პერანგში, რაც გაზრდის მის სივრცულ სიხისტეს მდრადობაზე.

ყოველივე ზევიდან გამომდინარე ვასკვნით.

დასკვნა

არსებული საცხოვრებელი სახლის გამაგრების დროს აუცილებლად
განხორციელდეს სარდაფის სართულის გადახურვის გამაგრებითი სამუშაოები,
მთავარ ფასადზე არსებული აივნების მზიდი კონსტრუქციები აღდგეს რ/ზ-ნის მონ.
ფილების სახით, შიდა ეზოში სამ სართულიან მიშენებას ჩაუტარდეს გამაგრებითი
სამუშაოები რ/ზ-ნის მონ. პერანგში ჩასმით.

კონსტრუქტორი

ა. მჭედლიშვილი

აღმაშენებლისგამზ. №36-ში
მდებარესახლისპიზუალურისაინჟინრობეოლოგიურიშეფასება

აღმაშენებლისგამზ. 36-ში მდებარეობსრუსულიII-ს ფორმისსამსართულიანიშენობა.

შენობანაშენიააგურით და დაფუძნებულიაღენტურისაძირკვლებით.

შენობისმზიდკედლებზეშენიშნებამცირეზომისსხვადასხვამიმართულებისდეფორმაციულიბზარები.

გეომორფოლოგიურადშენობისუბანიწარმოადგენსმტკვრისმარცხენასანაპიროსჭაღისზედა I ტერასას, რომელიცლითოლოგიურადაგებულიაალუვიურიკენჭნარებით. კენჭნარებითავისმხრივგადაფარულიადელუვიურიითიხებით და ნაყარიგრუნტით. კენჭნარებისგავრცელებისსიღრმეუბანზეარაკანონზომიერია.

ჰიდროგეოლოგიურადუბანისასიათდებამიწისქვეშაწყლებისარსებობით.

სწორედმიწისქვეშაწყლებთანარისდაკავშირებულიზოგადად ამ რაიონშიშენობანაგებობებზეარსებულიდეფორმაციები.

თიხოვანგრუნტთანმიწისქვეშაწყლებისმოქმედებისშედეგად, ხდებაგრუნტისფიზიკურ-მექანიკურიმახასიათებლებისმკვეთრადდაქვეითება, რაცშემდეგაისახებაშენობანაგებობებისმდგრადობაზე.

შენობისრეაბილიტაციისათვისსაჭიროიქნებაშენობა-ნაგებობისფუძე-საძირკვლებისა და საგებიგრუნტისგამოკვლევა, რისთვისაცაუცილებელიამზიდიკედლებისარეალშიგამონამუშევრებისგაყვანა, ფუძე-საძირკვლებისზომების, კონფიგურაციისა და მდგომარეობისდადგენისმიზნით, ასევესაინჟინრო-გეოლოგიურისტრუქტურულისურათისშესაქმნელად.

ინჟინერ-გეოლოგი

დ. მდებრიშვილი

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის № 34-ში მდებარე სახლის

რესტავრაცია- რეაბილიტაციის პროექტი

არქიტექტურული ნაწილის

განმარტებითი ბარათი



სახლის ისტორია, მისი ზოგადი აღწერა და მნიშვნელობა

სარეაბილიტაციო ნაგებობა მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 34-ში. აშენებულია როგორც ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი მე-19 საუკუნის ბოლოს 1882 წელს. სტილისტიკური თვალსაზრისით კლასიციზმისა და ამპირის ნიშნების მატარებელია. წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. სახლის გამორჩეულია ფასადის სადა და გამართული პროპორციებით.

მთავარი ფასადით გადის აღმაშენებლის გამზირზე, ორსართულიანი ფასადის პირველი სართული რუსტირებული ნაღესია, მაღაზიის ვიტრინებს და ეზოში სესასვლელი ჭიშკარს დაკარგული აქვთ ავეთენტური სახე და უსახურია. მეორე სართულის ფასადი დეკორატიული ნაძერწობითაა შემკული, სადაც გამოიყენება მცენარეული ორნამენტები. აივნები მორთულია ლითონის ნაჭედით აქურთული მოაჯირით, იგი მოგვიანებით შემოუფარდლავთ უსახური ლითონის ცხურით, რაც ფასადს ძალიან ამახინჯებს. უკანა ფასადები გადაკეურებს შიდა ეზოს, რომელიც თბილისისათვის ტრადიციული ღია, ხის ჭვირული ლოჯიებით არის მორთული.

სივრცობრივ-გეგმარებითი თვალსაზრისით სახლი რთული ფორმისა, უკანა მხარეს სახლი სამი მხრიდან შემოვტყმული შიდა ეზოს, საიტკენაც ხის ჭვირული აივნები და ლოჯიებია მიმართული. თავად ეზოში ვხვდებით ქუჩიდან გაჭრილი ოთხკუთხა თალით. ქუჩის მხარეს განთავებული პირველი სართულის სათავსოები სავაჭრო ზონას უკავია, სახლის დანარჩენი ფართი საცხოვრებელია და რამდენიმე ბინაზეა გადანაწილებული. საცხოვრებელ ბინებში შიდა ეზოდან ვხვდებით, აქვეა რამდენიმე კიბე, რომელიც ეზოს აკავშირებს პირველ, მეორე სართულებს და ასევე სარდაფს. ეზოში მრავლად არის პატარ-პატარა მინაშენები, რომლებიც საგრძნობლად



ამახინჯებენ ეზოს იერსახეს.

სახლის სახურავი ქანობიანია და მოწყობილია ხის ნივნივებზე, სახურავს აქვს სამერცხლული, საიდანაც ვხვდებით სხვენის სივრცეში, სახურავის ხის კონსტრუქცია კარგად მდგომარეობაშია.

სახურავს ეტყობა სხვადასხვა დროს შესრულებული სარემონტო სამუშაოები, მისი ზოგიერთი მონაკვეთი დაფარულია შეღებილი თუნუქის ფურცლებით, ნაწილი მოთუთიებული თუნუქით, რის გამოც სახურავი უსახურია.

მნიშვნელოვანი დაზიანებები.

სავარაუდოდ სახლი დგას მყარ გრუნტებზე, რადგან არ შეინიშნება საყრდენი კედლების მნიშვნელოვანი ჯდომები, თუმცა აღსანიშნავია, რომ კედლებს ცალკეულ მონაკვეთებში გააჩნია ბზარები, რაც ძირითადად მიწისძვრებით უნდა იყოს გამოწვეული. სარდაფის დონეზე სართულშუა გადახურვა ცალკეულ მონაკვეთებში ნესტის გამო დაზიანებულია, გადახურვის ლითონისა და ხის კოჭებს ღპობა აქვთ დაწყებული. სარდაფში გადის



წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომლებიც მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია.

ფასადის კედლებზე წყლის ჟოლობების მონაკვეთებში ნალესი ფენა ატმოსფერული ნალექების გამო ჩამორეცხილია, ასევე ზოგ მონაკვეთში ნაძერწი დეკორატიული ელემენტები ჩამოყრილია. სახურავის თუნუქის ფურცლები სიძველის გამო დაზიანებულია.

სახლის სამშენებლო

მეთოდოლოგია და შესასრულებელი სამუშაოები

სახლის არასწორი ექსპლუატაციის და უხარისხოდ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების გამო, მისი იერსახე საკმაოდ შელახულია, თუმცა ძირითადად კონსტრუქციული მდგრადობა და არქიტექტურული დეტალები შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, რეაბილიტაციის სამუშაოების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, აუცილებელია მაქსიმალურად მაღალი ხარისხით ჩატარდეს კვლევითი და საფიქსაციო სამუშაოები.

კვლევის პროცესში აუცილებელია გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს კონსტრუქტორის მიერ მითითებულ მონაკვეთებში გაიჭრას შურფები, ლაბორატორიულად დადგინდეს გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებები, გაირკვეს რას ეყრდნობა საძირკვლის ფუძე, დადგინდეს მისი ჩაღრმავება - გამოყენებული სამშენებლო მასალა და ფორმა. სახლის მაღალი მხატვრული მნიშვნელობის გამო აუცილებელია ფიქსაციისას გამოყენებული იქნას 3D ლაზერული სკანერი, რომელიც საშუალებას მოქცევს სამგანზომილებიან სივრცეში მაქსიმალურად ზუსტად დაფიქსირდეს, როგორც თავად სახლის მოცულობა და გეომეტრია, ასევე არსებული ყველა არქიტექტურული დეტალი.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ჩაუტარდეს კვლევა ყველა ავთენტურ სამშენებლო მასალას, ამისთვის შენობის ზოგიერთ მონაკვეთებში

უნდა მოხდეს ზონდაჟი, ასევე უნდა განხორციელდეს არსებული სამშენებლო, ნაძერწი დეკორატიული და სამღებრო მასალების ლაბორატორიული კვლევა. ხოლო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით უნდა შეირჩეს თუ რა სამშენებლო მასალები იქნას გამოყენებული შენობის აღდგენითი-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დროს.

სახლის ფიზიკური დაზიანების მიზეზების აღმოფხვრის შემდგომ, ჩასატარებელია მისი მდგრადობის გაძლიერება, შენობას მაქსიმალური ავთენტურობის შეუნარჩუნებით, რაც შესაბამისად გათვალისწინებული იქნება პროექტირების პროცესში.

ეზოში არსებული გვიანი პერიოდის მინაშენებს უნდა ჩატარდეს დემონტაჟი, აღსადგენია ლოჯიის ზოგიერთ მონაკვეთებში დაკარგული ხის ჭვირული ელემენტები.

უნდა მოიხსნას ლითონის აივანზე დადგმული უსახური ლითონის ცხაური, უნდა აღდგეს მთავარი ფასადის ლითონის ორფრთიანი ჭიშკარი, ხის კარ-ფანჯარა და ნაძერწი დეკორატიული ელემენტები, ასევე ეზოს მხარეს ორიენტირებული ხის ჭვირული ლოჯიები. აუცილებელია განიავებადი გახდეს სარდაფში არსებული სათავსოები.

რეაბილიტაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს საავტორო ჯგუფის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

არქიტექტორი მალხაზ ლეკვეიშვილი

ხედი ღვინო ალაგაძის გაზირის მხრიდან



ხედი უბოს მხრიდან



ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირში №34-ში
მდებარე საცხოვრებელი სახლი



კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, ორსართულიანი ამპირის სტილის ნაგებობა სავარაუდოდ XIX ს-ის მიწურულს 1882 წელს განეკუთვნება, შენობას ამპირული სტილისთვის დამახასიათებელი სიმეტრიული კომპოზიცია ახასიათებს. ფასადის ცენტრალური ნაწილი აქცენტირებულია ლითონის ჭედური აივნით, რომლის ორივე მხარე მაღალი ფრონტონებით დაგვირგვინებული ნაწილებით არის ფლანკირებული. ქუჩიდან სახლის ეზოში შესასვლელი გვირაბით ხვდებით. ეზოს ფასადი თბილისური ამპირისთვის დამახასიათებელი ხის გალერეა-შუშაბანდებით არის გაფორმებული.



კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფასადის პირველ სართულზე არსებული ღიობები სახეცვლილია და არ შეესაბამება ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას. ასევე შეუსაბამოა ზედა სართულის რიგი ფანჯრების მეტალოპლასტმასის ალათები და აივნის დამცავი ცხაური, რაც რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით თავდაპირველი მდგომარეობის დაბრუნებას ითხოვს.

ასევე აღსადგენია ეზოს მხარეს არსებული ხის შუშაბანდების თავდაპირველი კომპოზიცია და მთლიანობა, რისთვისაც სასურველია, ავთენტური პროექტის მოძიება და ბიბლიოგრაფიული მასალის შეჯერება არსებულ მდგომარეობასთან.

ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილი

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი დ. აღმაშენებლის გამზ. #34
არსებული საცხოვრებელი სახლის მდგრადობის
კონსტრუქციული დასკვნა.

მე, (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ალექსანდრე მჭედლიშვილი), ვიმყოფებოდი მოცემულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლის შესამოწმებლად. საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია და გააჩნია სარდაფის სართული. მის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კერამიკული აგულის კაპიტალური $b=60\text{სმ}$ კედლები, სახლს არ გააჩნია ანთისეისმური სარტყელი. სართულშუა და სასხვენე გადახურვები მოწყობილია ხის კონსტრუქციებით, ხის კონსტრუქციისაა ნივნივური გადახურვაც. სავარაუდოთ საძირკვლები მოწყობილია ბუტო-ბეტონის საძირკვლის ლენტებით. სახლს დღეისათვის არ გააჩნია ჯდომითი ან სეისმური დეფორმაციები და არის კარგ მდგომარეობაში. ფასადზე აღინიშნება ლესვის დაზიანებები ატმოსფერული ნალექებისაგან, ზოგიერთ ადგილას ბათქაში ჩამოყრილია და საჭიროებს აღდგენას. შენობის სხვა კონსტრუქციული დაზიანება არ აღინიშნება.

ყოველივე ზევიდან გამომდინარე ვასკვნით,

დასკვნა

არსებული სახლის კონსტრუქციები კარგ მდგომარეობაშია, შესაბამისად არ საჭიროებს ჩარევას. საჭიროა მხოლოდ აივნებზე იატაკების ნაწილობრივ შეკეთება და შელესვის სარემონტო სამუშაოები.

კონსტრუქტორი

ა. მჭედლიშვილი

**აღმაშენებლისგამზ. №34-ში
მდებარესახლისპიზუალურისაინჟინრობეოლოგიურიშეფასება**

აღმაშენებლისგამზ. 34-ში მდებარეობსმართკუთხაფორმისორსართულიანიშენობა.

შენობანაშენიააგურით და დაფუძნებულიაღენტურისაძირკვლებით.

შენობისმზიდკედლებზეშეინიშნებამცირეზომისსხვადასხვამიმართულებისდეფორმაციულიზარები.

გეომორფოლოგიურადშენობისუბანიწარმოადგენსმტკვრისმარცხენასანაპიროსჭაღის ზედა I ტერასას, რომელიცლითოლოგიურადაგებულიაალუვიურიკენჭნარებით. კენჭნარებითავისმხრივგადაფარულიადელუვიურიითისებით და ნაყარიგრუნტით. კენჭნარებისგავრცელებისსიღრმეუბანზეარაკანონზომიერია.

ჰიდროგეოლოგიურადუბანისასიათღებამიწისქვეშაწყლებისარსებობით. სწორედმიწისქვეშაწყლებთანარისდაკავშირებულიზოგადად ამ რაიონშიშენობა-ნაგებობებზეარსებულიდეფორმაციები.

თიხოვანგრუნტთანმიწისქვეშაწყლებისმოქმედებისშედეგად, ხდებაგრუნტისფიზიკურ-მექანიკურიმახასიათებლებისმკვეთრადდაქვეითება, რაცშემდეგაისახებაშენობა-ნაგებობებისმდგრადობაზე.

შენობისრეაბილიტაციისათვისსაჭიროიქნებაშენობა-ნაგებობისფუძე-საძირკვლებისა და საგებიგრუნტისგამოკვლევა, რისთვისაცაუცილებელიამზიდიკედლებისარეალშიგამონამუშევრებისგაყვანა, ფუძე-საძირკვლებისზომების, კონფიგურაციისა და მდგომარეობისდადგენისმიზნით, ასევესაინჟინრო-გეოლოგიურისტრუქტურულისურათისშესაქმნელად.

ინჟინერ-გეოლოგი

დ. მღებრიშვილი


ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზ. №36 და №34 -ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

ხარჯთაღრიცხვა

№	შესასრულებელი სამუშაოები	ღირებულება
I ეტაპის სამუშაოები		
1	განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით	200
2	სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა	100
3	ტოპოგრაფიული გეგმა	400
4	სისტემატიზირებული ფოტომასალა	100
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დამუშავება ელ.ფორმატში დაზიანებების დატანით ძეგლის 3D სკანირებისა და წერტილთა ღრუბლის რეგისტრირების შემდეგ	8 000
6	ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა	300
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის და კომუნიკაციების შეფასება და რეკომენდაციები	400
8	მიწის სამუშაოების შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა	500
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	2 000
10	საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების მინერალურ-პეტროგრაფიული კვლევა	600
11	არქიტექტურული დეტალების თავდაპირველი ფერის კვლევა	800
12	რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალების არსებულ მასალებთან თავსებადობის შესახებ	200
13	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	1 400
14	კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია	3 000
	I ეტაპის სამუშაოების ჯამი	18 000
II ეტაპის სამუშაოები		
1	არქიტექტურული ნაწილის დამუშავება	8 665
2	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	3 800
3	საინჟინრო კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტი	1 800
4	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტის შედგენა	300
5	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით	600
6	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	1 000
7	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის შედგენა	800
8	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტის შედგენა	800
9	ინტერიერის მოხატულობის კონსერვაციის პროექტი	5 000
10	საექსპერტო დასკვნა	7 000
	II ეტაპის სამუშაოების ჯამი	29 765
	I და II ეტაპების სამუშაოების ჯამი	47 765

საშემოსავლო	20 %	9 555 ლარი
ჯამი		57 320 ლარი
ზედნაღები ხარჯები	6 %	3 440 ლარი
ჯამი		60 760 ლარი
მოგება	6 %	3 450 ლარი
ჯამი		64 405 ლარი
დღგ	18 %	11 595 ლარი

საპროექტო სამუშაოების
საერთო ჯამი 76 000 (სამოცდათექვსმეტათასი) ლარი




ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ქ №36 და №34 -ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

კვლევითი-საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობა

№	სამუშაოების დასახელება	1 თვე				2 თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4
	<i>I ეტაპის სამუშაოები</i>								
1	განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით								
2	სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა								
3	ტოპოგრაფიული გეგმა								
4	ფოტომასშალის სისტემატიზაცია								
5	ლაზერული სკანირება და მასალების რეგისტრირება								
6	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დამუშავება არსებული დაზიანებების დატანით								
7	ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემის დამუშავება								
8	კონსტრუქციული სქემების დამუშავება								
9	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები								
10	მიწის სამუშაოების შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა								
11	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა								
12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა								
13	საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების მინერალურ-პეტროგრაფიული კვლევა								
14	არქიტექტურული დეტალების თავდაპირველი ფერის კვლევა								
15	კვდლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია								
	<i>I ეტაპის სამუშაოების ჩაბარება</i>								

№	სამუშაოების დასახელება	3 თვე				4 თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4
	II ეტაპის სამუშაოები								
1	პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება								
2	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი								
3	საინჟინრო ქსელების რეაბილიტაციის პროექტის შესრულება								
4	ვერტიკალური გეგმარება								
5	სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გეგმა-გრაფიკით								
6	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა								
7	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი								
8	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი								
9	ინტერიერის მოხატულობის კონსერვაციის პროექტი								
10	საექსპერტო დასკვნა								
	II ეტაპის სამუშაოების ჩაბარება								

პროექტის ხელმძღვანელი

მ. ლეკვეიშვილი

